სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/200

ქ. თბილისი 23 08 2019 წ.

სტუ-ს 2019 წლის 09 აგვისტოს №01-09-10/197 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს 2019 წლის 09 აგვისტოს №01-09-10/197 ბრძანებაში და მისი მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სასწავლო კომპონენტებში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს: ბაკალავრიატში 2019 წლის 18 ნომბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში 2019 წლის 25 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით. მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში. უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს 2020 წლის 20 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით, დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს 2020 წლის 27 იანვრიდან 08 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 2020 წლის 10 თებერვლიდან 15 თებერვლის ჩათვლით."

„4. დოქტორანტურის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა" დისერტაციის წინასწარი დაცვა ჩატარდეს 2019 წლის 18 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით."

II. შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს 2019 წლის 09 აგვისტოს №01-09-10/197 ბრძანებაში და მისი მე-2 დანართი ჩამოყალიბდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტს (თ. წერეთელი).

IV. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი არჩილ ფრანგიშვილი

დანართი
„სტუ-ს 2019 წლის 09 აგვისტოს
№01-09-10/197 ბრძანების მე-2 დანართი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019-2020 სასწავლო წლის პირველი (შემოდგომის) სემესტრის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გრაფიკი

სწავლების საფეხური	30 სექტემბერი - 05 ოქტომბერი	07-12 ოქტომბერი	14-19 ოქტომბერი	21-26 ოქტომბერი	28 ოქტომბერი - 02 ნოემბერი	04-09 ნოემბერი	11-16 ნოემბერი	18-23 ნოემბერი	25-30 ნოემბერი	02-07 დეკემბერი	09-14 დეკემბერი	16 -21 დეკემბერი	23-28 დეკემბერი	30 დეკემბერი - 07 იანვარი	08-11 იანვარი	13 -18 იანვარი	20-25 იანვარი	27 იანვარი - 01 თებერვალი	03-08 თებერვალი	10- 15 თებერვალი
კვირა	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	-	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX
სასწავლო კომპონენტები																				
მაგისტრატურა	საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები								საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები, შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში)		საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები				საშობაო არდადეგები	საუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები		დოკუმენტური მასალის ჩაბარება	სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები
დოქტორანტურა																				
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები																				
მაგისტრატურა	კვლევა													საშობაო არდადეგები	კვლევა		დოკუმენტური მასალის ჩაბარება	სესიები (დასკვნითი შეფასებები/ დაცვები)		იხ. დანართი 3
დოქტორანტურა (გარდა კომპონენტისა “დისერტაციის დასრულება და დაცვა“)	კვლევა														კვლევა					
დოქტორანტურა (“დისერტაციის დასრულება და დაცვა“)	დისერტაციის დასრულება							დისერტაციის წინასწარი დაცვა	დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში						მომზადება დისერტაციის დაცვისთვის			დისერტა-ციის დაცვა		იხ. დანართი 3